**საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის 2012-2013 წლის საქმიანობის ანგარიში**

*მომზადებულია 2011-2017 წლების სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით.*

- ✓ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი წარმატებით აგრძელებს თანამედროვე ცოდნის მქონე მაღალკვალიფიციური პროფესიონალების აღზრდას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, დანერგვას და განხორციელებას უცხოელ პარტნიორებთან ერთად. შეიქმნა ახალი სამაგისტრო და საბაკავრო პროგრამები. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, ვროცლავის უნივერსიტეტთან პარტნიორობით, უნივერსიტეტში მაგისტრის ორმაგი ხარისხი მიენიჭა საჯარო მმართველობა/პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობები/პოლიტიკური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამებს. პირველად გამხორციელდა ონლაინ-დისტანციური სწავლების მოკლევადიანი კურსი. კვალიფიკაციის ამაღლებისა და სასწავლი პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გაიხსნა თანამედროვე სწავლების ცენტრი (Teaching Excellence Center). ლაბორატორია SMART SAMSUNG -გან უნივერსიტეტს გადაეცა კომპიუტერული ლაბორატორია.
- ✓ GIPA - ს პარტნიორი უნივერსიტეტებია: ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი, ტროის უნივერსიტეტი, ვროცლავის უნივერსიტეტი
- ✓ ამერიკის შეერთებული შტატები რჩება მნიშვნელოვან დონორად, თუმცა მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. უნივერსიტეტის ძირითადი დონორებია: ა.შ.შ -ს სახელმწიფო დეპარტამენტი, USAID, USDA, EU/EC, IREX, OSI, CJS
- ✓ უნივერსიტეტის აქტივი გაიზარდა:შესყიდულ იქნა ლ.ასათიანის ქ.#62 მდებარე შენობის ფართი (130კვ.), სადაც განთავსდება ფრონტლაინ კლუბი.
- ✓ 2012 წლის აუდიტის დასკვნის მიხედვით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აქტივები გაიზარდა 271, 579.00 ლარით; 2012 წელს საგრანტო შემოსავალი გაიზარდა 181,027.00 ლარით; 2012 წელს საერთო კომერციული შემოსავალი გაიზარდა 574,304.00 ლარით.

**არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შენარჩუნება/განვითარება**

ხარისხის შენარჩუნების მიზნით, უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს არსებული და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება/მონიტორინგი, განახლება, სრულყოფა და სწავლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

<u>მმართველობის სკოლა:</u>

- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა
- ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა
- საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

<u>ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლა:</u>

- მულტიმედიური ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა

<u>სამართლისა და პოლიტიკის სკოლა:</u>

- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა
- საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა

<u>სოციალურ მეცნიერებათა სკოლა:</u>

- სოციალურ მეცნიერებებში საბაკალავრო პროგრამა

**ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა**

- მმართველობის სკოლის ფარგლებში განვითარდა ბიზნესის მიმართულება, მუშაობა მიმდინარეობს ბიზნესის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავებაზე, გაიხსნა ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა (აკრედიტირებული 2013 იანვარში);
- ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სკოლის ფარგლებში განვითარდა ხელოვნების მიმართულება, კოლუმბიისა და მაასტრიტის უნივერსიტეტთან პარტნიორობით მიმდინარეობს მედია ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის შემუშავება.
- საჯარო მართველობა/პოლიტიკურ მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა ორმაგი ხარისხი (პარტნიორი: ვროცლავის უნივერსიტეტი);

- საერთაშორისო ურთიერთობები/პოლიტიკური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა ორმაგი ხარისხი (ვროცლავის უნივერსიტეტი);
- დაინერგა GIPA ონლაინ -დისტანციური სწავლება (მოკლევადიანი კურსები) და ევროკავშირის დაფინანსებით დამონტაჟდა დისტანციური სწავლებისათვის საჭირო სერვერი და აღჭურვილობა.

**საბაკალავრო პროგრამის დანერგვა**

სამართლისა და პოლიტიკის სკოლამ სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე მიიღო პირველი ნაკადი

**არსებული საბაკალავრო პროგრამის დანერგვა/დახვეწა**

უნივერსიტეტში მუდმივად მიმდინარეობს სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის დახვეწა, სრულყოფა და სწავლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

**უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის გაღრმავება/ ახალი პარტნიორების მოზიდვა**

- ტროის უნივერსიტეტთან სამწლიანი პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარეობს კვლევის კომპონენტის გაძლიერება, საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის არსებული კურიკულუმების განახლება, ერთობლივი დისტანციური საერთაშორისო განვითარების სამაგისტრო პროგრამის შემუშავება;
- უნივერსიტეტი თანამშრომლობს შემდეგ უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან: კოლუმბიის, ვროცლავის, ტროისა და ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტები;
- უნივერსიტეტი თანამშრომლობს შემდეგ საერთაშორისო ინსტიტუციებთან და პროგრამებთან: Tempus, IREX, USAID, USDA, EC/ENPARD, Mercy Corps, ევროპული ჟურნალისტიკის ცენტრი, ა.შ.შ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, CJS, OSI, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

**უნივერსუტეტის ინფრასტრუქტურა/სასწავლო ფართის და დამხმარე ფართის გაზრდა**

ქ.თბილისში, ლადო ასათიანის ქ.#62 უნივერსიტეტმა შეიძინა ფართი შესაბამისი ინფრასტრუქტურით (130კვ), სადაც განთავსდება ფრონტლაინ კლუბი (რომელიც 2010 წელს ფონდ ღია საზოგადოებასთან ერთად ჩამოაყალიბა და იგი ლონდონში არსებული გლობალ ფრონტლაინ კლუბის ერთადერთი პარტნიორია რეგიონში) და რადიო GIPA -ს ორი ახალი სტუდია.

**საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო მასალის შექმნა/გამოცემა და უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება**

უნივერსიტეტმა მიიღო ბიზნეს კომპანიის პირველი გრანტი და ლაბორატორია SMART SAMSUNG -გან GIPA-ს გადაეცა კომპიუტერული ლაბორატორია.

**კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისთვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა**

- 2013 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ინსტიტუტის ადმინისტრაციის შეთანხმებით კვლევის დეპარტამენტში ჩამოყალიბდა თანამედროვე სწავლების ცენტრი (Teaching Excellence Center). მისი მიზანია, უნივერსიტეტში აკადემიური ხარისხის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს სწავლების და სწავლის თანამედროვე მეთოდოლოგიის მუდმივ განახლებას და სრულყოფას.
- უნივერსიტეტის ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი აქტიურადაა ჩართული კვალიფიკაციის ამაღლების მეზანიზმების შექმნასა და დანერგვაში.

**კვლევების, კონფერენციების, სხვადასხვა საგრანტო პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა**

- უნივერსიტეტის კვლევის დეპარტამენტის სადოქტორო პროგრამას 15 ახალი დოქტორანტი დაემატა საჯარო მმართველობის,, ეკონომიკისა და ჟურნალისტიკის მიმართულებით. ცენტრი უნივერსიტეტის თანამშრომლებს კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, სთავაზობს ტრენინგებს თანამედროვე სწავლების ცენტრის (Teaching Excellence Center) პროგრამის ფარგლებში. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა კვარტალური სამეციერო ჟურნალის გამოცემაზე.
- უნივერსიტეტის სკოლები და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო პროექტებში და წარმატებით ახორციელებს დონორის მიერ დაფინანსებულ პროექტებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

**უცხოელი თუ ადგილობრივი პროფესიონალების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა**

პარტნიორი უნივერსიტეტებიდან მოწვეული ლექტორები, ექსპერტები და დარგის სპეციალისტები შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუციებიდან აქტიურად არიან ჩართულნი როგორც სასწავლო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელებაში.

**მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემების სრულყოფა**

- GIPA-ს რებრენდინგი: შეიქმნა ახალი ლოგო და შემუშავდა Brand Book;
- სამაგისტრო პროგრამებზე პირდაპირი მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებამ გაზარდა შემოსული აპლიკაციების რაოდენობა (19 აპლიკანტი 1 ადგილზე);
- GIPA-ს 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით მომზადდა ღონისძიებების კალენდარი; საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის გაუმბჯობესების მიზნით, დაიგეგმა უნივერსიტეტის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიები, შესაბამისად, განახლდა უნივერსიტეტის მარკეტინგის სტრატეგია.
- სტუდენტური ვებგვერდი - Newscafe.ge; განახლდა რადიო GIPA-ს გადაცემები; გაიმართა რიგით მეორე GIPA DOC ფესტივალი; GIPA Friedman პრიზის გადაცემა;

უნივერსიტეტში შეიქმნა კულტურული მემკვიდრეობის და ადგილობრივი თვითმართველობის ცენტრები.

## გამოწვევები:

- ✓ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შშმ სტუდენტებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა
- ✓ მარეგულირებელი და ადმინისტრაციული დოკუმენტაციის დახვეწა
- ✓ სტუდენტური თვითმართველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- ✓ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული ბაზის და შეფასების მექანიზმის სრულყოფა

## დაგეგმილი აქტივობები:

- ✓ ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და დანერგვა
- ✓ ახალი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები
- ✓ პარტნიორი უნივერსიტეტების მოზიდვა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება
- ✓ უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ორმაგი სამაგისტრო და საბაკალავრო **ხარისხის მინიჭება**
- ✓ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული ბაზის სრულყოფა
- ✓ უნივერსიტეტის ინსტიტუციური გაძლიერება
- ✓ საერთაშორისო დონორების მოზიდვა პროექტების განხორციელების მიზნით
- ✓ აქტიური მარკეტინგული კამპანიის წარმოება